სურათებზე: მარცხნივ — ნ. გაფრინდაშვილი სარეფრიჟერატორო ფლოტის მცურავ ბაზა „რიგის“ გემბანზე... მას აქ ამ დღეებში გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. თქვენ ხედავთ მსოფლიო ჩემპიონს, რომელსაც ესაუბრება ფლოტის უფროსი კაპიტანი ვ. გაბისკირია. საუბარში მონაწილეობენ ვენტსპილსის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტი ვ. ირემაძე (მარცხნიდან პირველი) და ოსტატი ბ. გურგენიძე; მარჯვნივ — ქ. ცესისის ბავშვთა სპორტული სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა ჯიბის ჭადრაკზე გადმოიტანეს გაფრინდაშვილისა და კუშნირის ორთაბრძოლის ერთ-ერთი სტადია. დღეს ისინი ხომ საგანგებოდ ჩამოვიდნენ რიგაში და ინტერესით მოკალათდნენ სცენის ახლოს, სადაც მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 198 (2918) ● ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 1965 წ. ● ფასი 8 კაპ.

◆ **კოპენჰაგენი**, 6 ოქტომბერი. ამას წინათ აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირს სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა დიდოსტატები მ. ტაიმანოვი და ა. სუეტინი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატი ვ. ჰორტი. III ტურში ტაიმანოვისა და ჰორტის შეხვედრა ყაიმით დასრულდა, რის შემდეგ მეტოქეებს 2,5-2,5 ქულა დაუგროვდათ. ამდენივე ქულა გაუხდა სუეტინს, რომელმაც ამ ტურში მოუგო საერთაშორისო ოსტატ ქ. ჰონფის (უნგრეთი). ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა, დანიელმა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა უხეიროდ აიღო სტარტი. მან „ჩააბარა“ I ტურში გადადებული პარტია ჰორტს, ხოლო III ტურში წააგო ავსტრიელ ა. დიუკშტეინთან და მხოლოდ გადადებული პარტიების დამთავრებისას გაიყო 1 ქულა თანამემამულე ი. სლოტთან.

◆ **ლისაბონი**, 6 ოქტომბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების შარშანდელ ფინალისტებს — პორტუგალიის დედაქალაქის „ბენფიკის“ ფეხბურთელებს წლევანდელ ტურნირში მეტად იოლი მეტოქე ხვდათ წილად. ლუქსემბურგის ჩემპიონ „დიუდელანჟთან“ პირველ მატჩში, როგორც ცნობილია, „ბენფიკამ“ 8 „მშრალი“ ბურთი გაიტანა. ლისაბონში გამართულ მეორე შეხვედრაში მასპინძლებმა კიდევ უფრო მწარე მარცხი აგემეს ლუქსემბურგელებს. 10:0! ასეთია ამ მატჩის ანგარიში. კვლავ ისახელა თავი ეუსებიომ, რომელმაც მეორე თამაშში 4 გოლი გაიტანა.

◆ **ნიუ-იორკი**, 6 ოქტომბერი. 627 კმ დაფარა 11 საათსა და 59 წუთში ამერიკელმა რიჩარდ მაკინესმა... ფრანით. ფრანი გამობმული იყო კატარღაზე, რომელიც მიჰქროდა მდინარე ოგაიოზე. ეს შედეგი ამგვარი ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდია როგორც მანძილის, ასევე ხანგრძლივობის მხრივ. ძველი მიღწევა გადამეტებულია 112 კილომეტრითა და თითქმის 2 საათით.

ფეხბურთი

გუშინ...

„ბ“ ლიგა

რსფსრ-ს IV ზონა

სოხუმი, 6 ოქტომბერი (ტელეფონით). დღეს აქ ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო გურჯაანის „ალაზანი“. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით ჩატარდა, რომლებმაც მეტოქის კარში 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს.

ზუგდიდი, 6 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ადგილობრივი „ენგური“ დღეს აქ შეხვდა კიროვაბადის „დინამოს“. 30-ე წუთზე ზუგდიდელი აბრალავა სწრაფად შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში და ბურთი გადააწოდა ნესტერევს, რომელმაც ანგარიში გახსნა.

ზუგდიდელები მეტი ენთუზიაზმით შეუდგნენ მეტოქის კარის იერიშს და აი, ერთ-ერთი გარღვევა მეორე გოლით დააგვირგვინა ასლანიშვილმა.

მატჩის მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრები ცდილობენ ანგარიშის „დასველებას“ და თამაშის მიწურულში ახერხებენ კიდეც ერთი გოლის გაქვითვას. ბურთი გაიტანა საბრიანმა.

გაიმარჯვა „ენგურმა“ — 2:1.

ბ. ალშიბაია.

ფოთი, 6 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ფოთის „კოლხიდა“ მორიგ კალენდარულ მატჩში შეხვდა რუსთავის „მეტალურგს“. თამაში დუნე და უფერული იყო. პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე ფოთელებმა ცეკვაშვილმა და ჯიბლაძემ მეტოქის საჯარიმო მოედანზე გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც დააგვირგვინა კალიუჟნოვმა — 1:0.

შესვენების შემდეგ რუსთაველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ფოთელთა კართან, მაგრამ მეკარე ბურჭულაძე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

ა. ლომაია.

ბათუმი, 6 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და სუმგაითის „ფოლადი“. პირველ წრეში დამარცხების გამო (0:1) ბათუმელებმა რევანშის წყურვილით დაიწყეს თამაში, მაგრამ საწადელს მხოლოდ მე-20 წუთზე მიაღწიეს. გოლი სტუმრების კარში გაიტანა მარჯვენა გარემარბმა აივაზოვმა.

75-ე წუთზე ვერულიძის მიერ წამოწყებული კომბინაცია კვლავ აივაზოვმა დააგვირგვინა.

გაიმარჯვა „დინამომ“ — 2:0.

ო. მურვანიძე.

შაში

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობის მატჩის V პარტია ვ. შჩოგოლევსა და ი. კუპერმანს შორის. თეთრებით მოთამაშე კუპერმანმა 70-ე სვლაზე აიძულა მსოფლიო ჩემპიონი თავი დამარცხებულად ეცნო. ამრიგად, ანგარიში გახდა 3:2 კუპერმანის სასარგებლოდ.

უკვე 6:2

რიგა, 6 ოქტომბერი (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის VIII პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა (თეთრებით) ამ მატჩში პირველად გამოიყენა ოთხი მხედრის დებიუტი. როგორც წესი, აღნიშნულ დებიუტს მშვიდი მანევრული ბრძოლა მოსდევს

პირველი 11 სვლის განმავლობაში ბრძოლა მართლაც საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც კუშნირმა მე-12 სვლით დაასუსტა თავისი მეფის ფრთა, მსოფლიო ჩემპიონმა მტკიცედ იგდო ხელთ პოზიციური უპირატესობა.

გაფრინდაშვილმა მეთოდურად გააძლიერა თავისი ფიგურების პოზიცია: გზადაგზა იგი მეტოქეს „სთავაზობდა“ პაიკების შეწირვას, მაგრამ პრეტენდენტმა ყველა ასეთ მომენტში თავი აარიდა ჩემპიონის „გულუხვ ძღვენს“.

შემდგომში კუშნირმა აირჩია თამაშის უსწორო გეგმა. ბრძოლაში უკანასკნელი რეზერვების ჩაბმისა და პოზიციის მაქსიმალურად გამაგრების ნაცვლად, მან თვითონ გახსნა თამაში მეფის ფრთაზე. ამის შემდეგ პარტიის მომდევნო სტადია წააგავდა „თამაშს ერთ კარში“.

თეთრების ჩინებულად განლაგებული ფიგურები დაუყოვნებლივ დაესხა თავს მოწინააღმდეგის მეფის რაიონს. 22-ე სვლაზე ნონამ მოიგო პაიკი და შექმნა მოუგერიებელი მუქარები. იერიშის განეიტრალების მიზნით კუშნირმა გაცვალა ლაზიერები, მაგრამ მოახლოებულ კატასტროფას ეს უკვე აღარ შველოდა. მსოფლიო ჩემპიონმა ფორსირებულად მოიგო ჯერ მეორე, ხოლო მალე მესამე პაიკი და უიმედო პოზიციაში, 32-ე სვლაზე კუშნირმა საათი გააჩერა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6:2 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. ახლა ნონას მხოლოდ 2 ქულა ჰირდება (8 პარტიიდან) თავისი მაღალი ტიტულის შესანარჩუნებლად.

მორიგი, IX პარტია გამართება 9 ოქტომბერს.

ოლიმპიური ფეხბურთი საფრთხეშია

[illegible] მოგვითხრობს

პირველად როდი დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ ოლიმპიური პროგრამიდან მოიხსნას სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა — ფეხბურთი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ამერიკელი ბრენდეჯი მიიჩნევს, რომ დღევანდელ ფეხბურთში მოყვარულებსა და პროფესიონალებს შორის განსხვავება წაშლილია. ბრენდეჯმა ფიფა-ს მოთხოვა, ველოსიპედისტების მაგალითისამებრ გაჰყონ საერთაშორისო ფედერაცია.

თუ ფეხბურთს ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღებენ, საერთაშორისო ფედერაცია მოყვარულთათვის დამოუკიდებელ მსოფლიო ტურნირს მოაწყობს. ასეთი წინადადება წაუყენა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. გათამაშების საორგანიზაციო დეტალური პროექტი უკვე შემუშავებულია.

როუზმა გადაჭრით გაილაშქრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს ფიფა-ს გაყოფას მოყვარულთა და პროფესიონალთა ფეხბურთის დამოუკიდებელ ფედერაციებად.

როუზმა წაიკითხა ასლი თავისი წერილისა, რომელიც მან შარშან ბრენდეჯს გაუგზავნა. ამ წერილში ნათქვამია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინადადება, რა თქმა უნდა, განხილულ იქნება ფიფა-ს საანგარიშო კონგრესზე 1966 წლის ივლისში. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღება ისე, თუ ეს საკითხი არ შეუთანხმეს ფეხბურთის 127 ეროვნულ ფედერაციას, უაზრობა იქნება.

ახალი ამბები

● **ემენი** (ჰოლანდია), 5 ოქტომბერი. აქ დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც I-II ადგილები გაიყვეს საბჭოთა მოჭადრაკე ტ. ზატულოვსკაიამ და იუგოსლაველმა მ. ლაზარევიჩმა (ამ მოჭადრაკეთა შეხვედრა მოიგო ზატულოვსკაიამ).

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 38 პრობლემა

მადრიდი, 6 ოქტომბერი. ესპანეთის დედაქალაქში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დღეს გახსნილი 63-ე სესიის დღის წესრიგში 38 პუნქტია. მათ შორის გვხვდება ისეთი საკითხი, როგორიცაა ოლიმპიურ თამაშებში გდრ-ის გუნდის დამოუკიდებლად მონაწილეობის პრობლემა. ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს ისევ ძველებურად, ხელოვნურად შექმნილი გაერთიანებული გუნდით გამოვლენ მსოფლიოს სპორტულ ფორუმებზე ორი დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენები, თუ ცალ-ცალკე დაიცავენ ისინი თავიანთი ქვეყნების ღირსებას, როგორც ამას მოითხოვენ მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა და საერთაშორისო ფედერაციათა უმრავლესობა.

ასევე გადაწყდება ზამთრის ოლიმპიადების მომავალი და მეხიკოს ოლიმპიადის პროგრამაში ქალთა ფრენბურთისა და კალათბურთის, აგრეთვე ძიუ-დოს შეტანის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. გაფრინდაშვილი
ა. კუშნირი
რიგა-1965

დედოფლის

ძალიან კარგად მესმის, როგორ განიცდის მთელი საქართველო ამ ისტორიულ საჭადრაკო დღეებს. თანაც თითქმის თვალნათლივ ვჭვრეტ აღელვებულ გულშემატკივარს, რომელსაც აღტაცება შიშითა და აღშფოთებით ეცვლება.

ის ხან წამოიძახებს: „ყოჩაღ, ჩვენო ნონა!“ ხან კი: „რად მისცა ასე დაუფიქრებლად მხედარი?“ „ასეთი რისკიც არ ვარგა!“

მაგრამ ბევრ ქომაგს ვერ წარმოუდგენია, რომ მსოფლიო ჩემპიონობის ყოველი, ნებისმიერი პრეტენდენტი საშიშია, რომ ასეთ მატჩში ნერვული დაძაბულობა უაღრესად დიდია. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სიმძიმე, როცა შენს ყოველ სვლას ნამდვილად მთელი საჭადრაკო სამყარო უთვალთვალებს, ბრძოლის ათასვოლტიანი დაძაბულობის სიმძაფრე, დაფასთან თითქმის ყოველდღიურად გატარებული 5 და მეტი საათი ისე გამოქანცავს მოჭადრაკეს, რომ ხან უდიდესი და მედგარი მებრძოლიც იგემებს შემოქმედებით კრახს. მსოფლიო ჩემპიონებს ამასთან ემატებათ მტანჯველი განცდა: არ დაიკარგოს გვირგვინი! პრეტენდენტს ამ მხრივ უფრო იოლად აქვს საქმე — მას დასაკარგი არაფერი აქვს.

1935 წელს ამსტერდამში მე მთელი სხეულით აკანკალებული გენიალური ალექსანდრე ალიოხინი მინახავს, როცა იგი იძულებული იყო ხელი ჩამოერთვა მძლეველისთვის — მაქს ეივესთვის! ფერმკრთალი, კრიჭაშეკრული იჯდა მიხეილ ბოტვინიკი, როცა მიხეილ ტალს გვირგვინს ადგამდნენ. რიგელი დიდოსტატი კი ბოტვინიკთან დრამატული მატჩ-რევანშის შემდეგ მწუხარებით გასრესილს ჰგავდა.

რანაირად დაიბნა და უმწეოდ „ცურავდა“ ბორის სპასკი პაულ კერესთან IX პარტიაში, იმის მიუხედავად, რომ გამარჯვება ასე ახლოს იყო... როცა ბენტ ლარსენთან მატჩის IX პარტიაში ტალმა საკუთარი მეფის მკვლელობას მიჰყო ხელი, პარტიის დამთავრებისთანავე ვკითხე ლარსენს:

— რა იფიქრეთ, როცა მიშამ g6 — g5 ითამაშა?

— დარწმუნებული ვიყავი, რომ გაგიჟდა, — მიპასუხა დანიელმა და ღიმილით დასძინა: — მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებით.

თავად ტალმაც აღიარა—ისე ავღელდი, თითქოს ტრანსში ვთამაშობდი და ვერაფერს ვხედავდიო (უნდა გენახათ, როგორ იქედნურად დაგვცინოდა მილუნკა ლაზარევიჩი, როცა მატჩის შემდეგ ბელგრადში შევხვდით: „რაო, მიშა? მამაკაცებმა გადაწყვიტეთ მცდარი სვლებით ქალებს გვაჯობოთ?“)

აი, უნებურად ასეთი ფიქრები მომდის, როცა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ორთაბრძოლას ვუყურებ. აი, ჩემი „მიტევებანი“ მათი ცალკეული შეცდომებისა (ნონას ზედმეტად გაბედული შეწირვა მეორე პარტიაში, კუშნირის უხეში შეცდომები მესამეში...). მაგრამ ეს ყველაზე მთავარი არ არის. მე მიმაჩნია, რომ მატჩის მომავალმა მემატიანემ შემდეგს უნდა გაუსვას ხაზი: ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის ისტორიაში პირველი ქალია, რომელსაც არ შეეშინდა ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში გენიალური ემანუილ ლასკერის ბრძოლის კონცეფცია გამოეყენებინა. ნონამ კარგად იცოდა, რომ შავებით თამაშისას არც ისე ადვილია კუშნირის გადაძალვა „მშრალ“ პოზიციურ ბრძოლაში და ლაზიერის მიღებული გამბიტი აირჩია, რომლის სპეციფიკაც შემდეგი გახლავთ: იზოლირებული პაიკის (ე. ი. პოზიციური სისუსტის) გამო თეთრები დინამიურ კომპენსაციას უნდა ეძებდნენ და შეტევისკენ ილტვოდნენ. ნონასაც ეს უნდოდა,

რადგან მიაჩნდა, რომ „ხ
ბრძოლაში კუშნირი ისე და
ვერ თამაშობს. თავის დ
„იტყუებდა“ მეტოქეებს ლა
როცა კუშნირის მწვრთნ
ტიის შემდეგ „ლოგიკურად“
ბენ, სად შეეძლო ალას უ
რად ეთამაშა და მოეგო კ
შეგნებული არა აქვთ, რ
მოიერიშის როლში სულაც
„ბედნიერი“, რომ იგი ამ დ
ხულად გრძნობს თავს, თ
არ არის. გასაკვირიც არაა,
წყვეტ მომენტში მან ნერვ
ლობას ვერ გაუძლო, სწორი
რგა და მოულოდნელად
გადაიჩეხა.

— გესმით თუ არა, რამდ
და მღელვარებას აყენებთ ქ
უგულობისთვის და ინფარ
ვინ უნდა აგოს პასუხი?

ხუმრობაზე ნონამ მხოლო
ღიმილით მიპასუხა. მას კა

დამატებითი სერიებში

თბილისში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა სასტენდო სროლაში. ტურნირის დასკვნით ეტაპში, რომელსაც უნდა გამოევლინებინა პრიზიორები როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში, მონაწილეობის უფლება მოიპოვა იმ 12-12 სპორტსმენმა, რომელთაც უკეთესი შედეგები ჰქონდათ 200 სამიზნეზე.

ადგილიდან სროლაში საქართველოდან ზ. მაჩხანელი და კ. ქღენტი აგრძელებდნენ შეჯიბრებას. ქღენტმა (ორი დღის შემდეგ იგი III ადგილზე იყო)

სროლა

ცუდად ჩაატარა პირველი სერია — ამაოდ ესროლა 6 სამიზნეს: 25 თეფშიდან მხოლოდ 19 დაამსხვრია. სამაგიეროდ, მაჩხანელმა ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა (24 ქულა) და III ადგილზე გადაინაცვლა. უკრაინელებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ნიკანდროვმა და სპორტის ოსტატმა ვ. პეტროვმა 23-23 სამიზნე გატეხეს და წამყვანი პოზიციები შეინარჩუნეს.

ქღენტს მეორე სერიაში კიდევ 5 სამიზნე გაუფრინდა უვნებლად, მაშინ, როცა საპრიზო ადგილების სხვა კონკურენტთაგან არც ერთს არ მოუხვეჭია 23 ქულაზე ნაკლები. ამრიგად, ქღენტი გამოაკლდა პირველობისთვის ბრძოლას. სამაგიეროდ, ლიდერთა რიგებში გამოჩნდა უკრაინელი ოსტატი ვ. ლავრინენკო: ამ დღეს ორი სერიის 50 შესაძლებლიდან მან 49 ქულა მოაგროვა.

ორ დასკვნით სერიაში ნიკანდროვმა შეძლო უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება, საბოლოოდ 300 შესაძლებლიდან 282 ქულა მოაგროვა და საზოგადოების ჩემპიონობაც მოიპოვა. II ადგილზე გავიდა პეტროვი — 274 ქულა.

ძირითადი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ღიად დარჩა მესამე პრიზიორის საკითხი, ვინაიდან მაჩხანელი და ლავრინენკო ფინიშზე ერთნაირი ბალანსით (270 ქულა თვითეულს) მივიდნენ. უძლიერესის გამოსავლინებლად მათ შორის დაინიშნა დამატებითი სერია, მაგრამ... მეტოქეებმა ორ-ორ სამიზნეს დააცილეს და ამიტომ მცირე შესვენების შემდეგ ისინი კვლავ „შეებნენ“ ერთმანეთს. მაჩხანელმა ამჯერად „ორივე ბეჭზე“ დასცა „აბეზარი“ თანამოსაქმე. უკრაინელის 20 ქულის საპირისპიროდ თბილისელმა ოსტატმა 24 სამიზნე გამოიყვანა მწყობრიდან და III ადგილს დაეპატრონა.

მრგვალ სტენდზე სროლაში ლიდერს, უკრაინელ ოსტატ ვ. კამპფს მეტად გაუჭირდა წამყვანი პოზიციის შენარჩუნება. 100 საფინალო გასროლას წინ იგი 3 ქულით ასწრებდა მსოფლიო ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნ. დურნევს (მოსკოვი), რომელმაც პირველსავე სერიაში ყველა თეფში გატეხა და ეს სხვაობა ერთამდე შეამცირა. დურნევმა ამ დღეს 100-დან 99 ქულა მოაგროვა, კამპფმა — 97. ეს კი უკრაინელისთვის საკმარისი აღმოჩნდა: 293 ქულით იგი ჩემპიონი გახდა. დურნევი დაკმაყოფილდა II ადგილით (292). III ადგილზე გავიდა ლ. სმაგინი (უკრაინა) — 287.

მრგვალ სტენდზე მსროლელთა შედეგები გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ადგილიდან მსროლელებისა. პირველებმა ოსტატის 17 შედეგი აჩვენეს ადგილიდან მსროლელების მიერ მოპოვებული 5-ის საპირისპიროდ. სამაგიეროდ, ადგილიდან სროლაში ორმა მესტენდურემ — კ. ქღენტმა და ლენინგრადელმა ვ. ივანენკომ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

საყვედური ითქმის „მონკავშირის“ სტენდის დირექციის მიმართ: მან სათანადოდ ვერ მოამზადა სასროლეთი ასეთი დიდი ღონისძიებისთვის. საკვირველია, რატომ ვერ მოხერხდა ბალახის მოთიბვა, რომელიც ხელს უშლიდა ადგილიდან მსროლელთა შეჯიბრებას. მეტ ყურადღებას საჭიროებს მექანიზმები და, საერთოდ, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ო. ივდოშვილი.

• • •

მესტენდურეთა ამ ასპარეზობაში მრგვალ სტენდზე სროლაში ვაჟებთან ერთად გამოდიოდა ერთადერთი ქალი, ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. სმირნოვა (ლენინგრადი).

სურათზე: კ. სმირნოვა სროლის დროს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე.

● **„გურია“ (ლანჩხუთი)—„ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0. მსაჯი ნ. რუსეიშვილი (ბათუმი).**

მასპინძლები დასაწყისიდანვე აქტიურად მოქმედებდნენ. მათი ერთ-ერთი შეტევა გოლით დამთავრდა და გამარჯვებაც „გურიას“ დარჩა.

● **„მერცხალი“ (მახარაძე) — „წინსვლა“ (წულუკიძე) 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მახარაძელი ფეხბურთელები სულ უფრო უკეთესად ატარებენ მატჩებს და შესაბამისად უმჯობესდება გუნდის სატურნირო მაჩვენებლები. აღნიშნულ შეხვედრაში „მერცხალი“ მოქმედებდა სწრაფად, კოლექტიურად და მათმა მონდომებამ სათანადო შედეგსაც მიაღწია.

● **„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:4. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).**

აღნიშნულ მატჩში თბილისელები საგრძნობლად ჯობდნენ მეტოქეს როგორც ტექნიკური მომზადებით, ისე ტაქტიკაშიც. ეს განსაკუთრებით ნათელი შეიქნა მეორე ტაიმში.

● **„სამეგრელო“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).**

ბრძოლას ძალიან დაძაბული ხასიათი ჰქონდა. ტაიმის დასასრულს ზუგდიდელებმა მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და გოლიც გაიტანეს მეტოქის კარში. მართალია, შემდგომში სტუმრებმა გაათანაბრეს თამაში, რასაც საპასუხო ბურთიც მოჰყვა, მაგრამ მატჩის მიწურულში შეტევაზე კვლავ „სამეგრელო“ გადავიდა. და აი, ერთ-ერთმა იერიშმა გუნდს გამარჯვება მოუტანა.

● **სკა (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:2. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).**

● **„თოლია“ (თბილისი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ა. კილაძე (თბილისი).**

პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თბილისელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ჭიათურელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის ეს რეალური შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ კი „თოლია“ თამაშობდა მეტი დამაჯერებლობით და ზუსტი ურთიერთმოქმედებით. გუნდის განუწყვეტელი იერიშები დამთავრდა 2 „მშრალი“ ბურთით „მალაროელის“ კარში.

უნდა დაისაჯონ

ამას წინათ ხობში გაიმართა საფეხბურთო მატჩი საქართველოს პირველობაზე II ქვეჯგუფის გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ ხობის „კოლხიდა“ და ბათუმის „ცისკარა“.

ყოველივე იმან, რაც სტადიონზე მოხდა, მაიძულა დამეწერა ეს წერილი.

პირველ ტაიმში ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა. წინ იყვნენ ბათუმელები ანგარიშით 1:0. არ ვიცი, რა მოხდა გასახდელში შესვენებისას, მაგრამ მეორე ტაიმში მინდორზე გამოვიდნენ არა ფეხბურთელები, არამედ ხულიგანთა ბრბო. მაყურებელთა ერთი ჯგუფით წაქეზებული ხობელი ფეხბურთელები არ ერიდებოდნენ არაფერს და დაუფარავად უხეშობდნენ. საფეხბურთო მინდორი გლადიატორთა ასპარეზს დაემსგავსა. მალე ტრიბუნის ერთი მხრიდან წამოვიდა ქვის სეტყვა და „ცისკარას“ ფეხბურთელები კარს იცავდნენ მოწინააღმდეგისაგან, ხოლო თავს — ქვების წვიმისგან. „კოლხიდამ“ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ უხეშობა არც ამის შემდეგ შეწყდარა.

ვებრძოლოთ ხულიგნობას!

მატჩის დამთავრების შემდეგ ბათუმელი ფეხბურთელები მინდვრიდან პირდაპირ ავტობუსში შეცვივდნენ, მაგრამ ხულიგნების ერთმა ჯგუფმა აქეთ გადმოინაცვლა და ქვებით ჩალეწა მანქანის მინები.

მილიცია გამოჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხულიგნებმა გული იჯერეს. ამრიგად მილიციის მუშაკებს სათანადო ზომებისთვის არც კი მიუმართავთ.

საკითხავია, რა კავშირი აქვს ამგვარ საქციელს სპორტთან და რას ფიქრობენ ამის თაობაზე ხობში?

შ. თურმანიძე,

საქართველოს ალკკ ბათუმის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

„ა“ კლასი

სსრ კავშირის პირველობა

მეორე ჯგუფი

XVII — XXXII ადგილები

ფინალური ტურნირი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სკა (ნოვოსიბირსკი)	34	14	8	12	39—26	36
„დინამო“ (ლენინგრადი)	34	13	8	13	54—45	34
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	34	9	16	9	26—22	34
„სპარტაკი“ (გომელი)	35	10	14	11	25—31	34
„ლოკომოტივი“ (ვინიცა)	34	9	14	11	27—28	32
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	35	10	12	13	27—30	32
„ალგა“ (ფრუნზე)	34	11	10	13	28—32	32
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	34	9	13	12	28—34	31
„პოლიტგანყოფილება“ (ტაშკ. ოლქი)	34	9	13	12	21—31	31
„ვოლგა“ (კალინინი)	34	9	10	15	24—37	28
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	34	8	10	16	42—49	26
„ენერგეტიკი“ (დუშანბე)	34	7	12	15	30—38	26
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	34	8	10	16	29—42	26
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	34	8	10	16	33—51	26
„დინამო“ (ტალინი)	34	5	11	18	24—48	21
„როსტსელმაში“ (როსტოვი)	34	7	5	22	21—51	19

ხელწერა

ა, რომ ანგარიში 5:2 საუკეთესო „რი-
ული ბალზამია“, და რომ მას კარგა
ანია „შეუნდეს“...

მაგრამ ეს, პირველ ყოვლისა, იყო
ლიერი ნებისყოფის, სიმტკიცისა და
ეშმარიტად რკინის ნერვების გამარჯ-
ება. პრეტენდენტს კი ყოველივე ეს
აცილებით სუსტი აღმოაჩნდა.

ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ კუ-
ნირის მწვრთნელმა გადაწყვიტა VII
არტიის წინადღეს პირველად აეღო
ტაიმ-აუტი“ და გამოაცხადა, რომ პრე-
ტენდენტი „ავადაა“. აქ შემიძლია მცი-
ე საიდუმლო გაგანდოთ: მატჩის დროს
ებადართულია სამჯერ გახდეთ ავად
სიცხოვლაც კი: საკმარისია ცუდი გუნე-
ა-განწყობილებაც. ეს დაუწერელი ჰუმა-
ური ზომაა, როცა მეტოქეს საშუალება
ძლევა გონებრივი „ნოკაუტისგან“ გა-
ოფხიზლდეს, ვინაიდან მხოლოდ დრო
ურნავს განცდილ მორალურ ტრავმას.
სე მოიქცნენ ბოტვინიკიც და სმის-
ლოვიც. ასე ვაიძულე მე ტალსაც
„ავადმყოფობა“.

მაგრამ ვერც VII პარტიაში შეძლო კუშნირმა მდგომარეობიდან თავის ხსნა. აგრესიულმა ნონამ ამჯერად კაპაბლანკასეულ პოზიციურ სტილში ჩაატარა პარტია. თანაც „საუზმედ“ მან მეტად ძვირფასი სადებიუტო სიახლე მოამზადა და სწრაფად შეუქმნა მეტოქეს ქრონიკული სისუსტე d5-ზე. ნონა ისეთი „შეუმჩნეველი“ სიძლიერით თამაშობდა, რომ პრეს-ბიუროში მყოფმა ოსტატებმა ვერ იქნა და ვერ შეძლეს გადამწყვეტი შეცდომის პოვნა. და კუშნირიც თუმცა თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ იგი მაინც არ „ჩანდა“ (ს. ტარტაკოვერმა ოდესღაც სწორად აღნიშნა, რომ მოჭადრაკის ძალა ხშირად ვლინდება უნარში: აიძულო მეტოქე უფერულად ითამაშოს).

21-ე სვლაზე კუშნირი იძულებული გახდა პაიკი დაეთმო. შემდეგ კი ყველაფერი დახვეწილი ტექნიკის საქმე იყო. ეს პარტია ნონას სტილის მრავალმხრიობას მოწმობს, რისკენაც — ე. ი. უნივერსალიზმისკენ — იგი ყოველთვის უნდა ისწრაფვოდეს.

ეს პარტია თავისუფალია ეფექტებისაგან, ჩახლართული საკვანძო მომენტებისაგან, მაგრამ გვხიბლავს კრისტალურად წმინდა აგებულებით და განუხრელი ლოგიკით. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი დედოფლის ხელწერაა!

ამავე პარტიასთან დაკავშირებით მინდა ორი მომენტის აღნიშვნა: თეორია სვლას 4. ...c5 სუსტად მიიჩნევს 5. d5 e6 6. e4 ed 7. e5!-ის გამო თეთრებისთვის უკეთესი თამაშით. მაგრამ სვლა 5. ...კf5! აძლიერებს მთელ ვარიანტს. მეორეც: ბევრი ოსტატი თვლიდა, რომ შეცდომაა 10. კg5, რომ საჭირო იყო 10. კf4, მაგრამ 10. ...მh6! 11. ლb5+ მფf8!-ის შემდეგ, როქის დაკარგვის მიუხედავად, შავების მდგომარეობა მეტად სასიამოვნოა.

ა. კოზლენცი,
სსრ კავშირის დამსახურებული
მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.
რიგა.



მეშვიდე პარტია

კუშნირი — გაფრინდაშვილი

ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. მf3 მf6 4. მc3 c5 5. d5 (თეორიაში ეს კარგ გაგრძელებად ითვლება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თეთრებისთვის ურიგო არ არის ენდშპილში გადასვლა. 5. e4 cd 6. ლ:d4 ლ:d4 7. მ:d4) 5. ... კf5 (ახალი სვლა, რომელიც საგრძნობლად აძლიერებს შავების თამაშს) 6. ლa4+ მbd7 7. ლ:c4 e6 (ისევ შესანიშნავია. ახლა კუშნირს აუცილებლად უნდა გაეცვალა პაიკი. მან გამხოლოებული პაიკის არსებობა არჩია, რაც შეცდომა აღმოჩნდა. ნონამ ოსტატურად შემოარტყა ალყა მას და მოიგო იგი) 8. e4 ed 9. ed კd6 10. კg5 0—0.

მსოფლიო ჩემპიონმა წარმატებით დაასრულა ფიგურების მობილიზება. მას ზედმეტი პაიკი აქვს ლაზიერის ფრთაზე, ხოლო თეთრების ცენტრალური პაიკი საიმედოდაა ბლოკირებული. ამიტომ ის მიისწრაფის გამოიყენოს უპირატესობა.

11. კe2 h6 12. კh4 a6 13. 0—0 b5 (ძნელია შავი პაიკების წინსვლის შეჩერება, ამიტომ კუშნირმა არ ითამაშა 13. a4. ამიერიდან d5 პაიკი განსაცდელშია) 14. ლb3 ეc8 15. ლd1 ლc7 16. კg3 კ:g3 17. hg.

რაკი ლაზიერის ფრთაზე ბრძოლა წაგებულია, კუშნირს აუცილებლად უნდა აეყვანა f პაიკით, რათა კონტრთამაში შეექმნა. სტრატეგიულად შავების პოზიცია უკვე მოსაგებია.

17. ... ლd6 18. მh4 კh7 19. კd3 b4 20. კ:h7+ მფ:h7 21. მa4.

კუშნირი ურიგდება პაიკის წაგებას. ახლა უკეთესი იყო 21. ლc2+ და 22. მe2.

21. ... ლ:d5 22. b3 c4 23. bc ე:c4 24. ლb1+ ლe4 25. მf5 ლ:b1 26. ეf:b1 მd5 27. მb2.

რასაკვირველია, კუშნირის პოზიცია წაგებულია. მაგრამ მას უნდა მხოლოდ ერთი პაიკი დაუტოვოს შავებს ლაზიერის ფრთაზე და გააძნელოს მისი წინსვლა. ასეთი ენდშპილები უაღრესად ზუსტ თამაშს მოითხოვს.

27. ... ეc7 28. მd3 a5 29. a3 ეc3 30. მc1 ba 31. ეb5 ეfc8 32. მe2 ე3c5 33. ე:c5 ე:c5 34. ე:a3.

ალბათ ამ პოზიციის მიღება უნდოდა კუშნირს. იგი მაინც უიმედოა, მაგრამ შეიძლება „არევა“, მით უმეტეს, რომ თამაში უკვე ცაიტნოტში მიმდინარეობს. ნონამ თუმცა ნაადრევად შემოიყვანა მეფე თამაშში, მაგრამ უპირატესობა არ დაუკარგავს.

34. ...მ7b6 35. მd6 მფg6 36. მf4+ მ:f4 37. gf a4 38. f5+ მფh7 39. g4 ეc1+ 40. მფg2 მc4 41. მ:c4 ე:c4 42. f3.

აქ პარტია გადაიდო.

შემდეგ თამაში გაგრძელდა ასე: 42. ...ეb4 (ჩაწერილი სვლა) 43. მფg3 h5 44. gh მფh6 45. ეc3 ეb6 46. მფg4 ეa6 47. ეa3 ეa5 48. f4 f6 49. მფh4 მფh7 50. მფh3 მფg8 51. მფg4 მფf7 52. მფh4 მფe8 53. მფh3 ეa7 54. მფh4 მფe7 55. h6 gh 56. მფh5 მფf7 57. მფ:h6 ეa5 58. ეa1 a3 59. ეa2 ეa4 60. მფh5 ეa6 61. მფg4 მფe7 62. მფh5 მფd6 63. მფg6 მფd5 64. ეd2+ მფe4 65. ეe2+ მფ:f4 66. ეe6 ეa4 67. ეe1 a2 68. ეf1+ მფe5 69. ეe1+ ეe4 70. ეa1 ეg4+ 71. მფf7 ეa4 72. მფg6 ეa6 73. ეe1+ მფd5 74. ეd1+ მფc4 75. ეa1 მფb3 76. ეe1 ეc6 77. ეe3+ მფc2. თეთრები დანებდნენ.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ალა კუშნირი თავისუფალ დროს დიდის ნეტარებით უძღვნის თავის პატარა ბიჭუნას. რიგაში ახლა მშვენიერი, მზიანი ამინდი დგას და კუშნირსაც ხშირად ნახავთ პავლუშასთან ერთად პარკში მოსეირნეს. ალა ამბობს, რომ პავლუშა მას ავიწყებს წაგებით განცდილ უსიამოვნებასაც კი...

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წერილები, დეპეშები...

თუ როგორი ინტერესით სარგებლობს ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირის მატჩი, ამაზე სულ ადვილად შეიძლება მსჯელობა მეტოქეთა ფოსტით. მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი თითქმის ყოველდღე იღებენ ბევრ წერილსა და დეპეშას.

ბუნებრივია, ორივე მებრძოლს პირველ რიგში მათი გულშემატკივრები წერენ. მაგალითად, თბილისელმა პენსიონერმა ხ. გრიგორიანმა ნონას ასსიტყვიანი უსტარი გამოუგზავნა. კუშნირმაც მიიღო მსგავსი წამახალისებელი „აბი“.

აი, მსოფლიო ჩემპიონის ფოსტა. სტარტზე ნონამ რამდენიმე მეტად ძვირფასი დეპეშა მიიღო.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი წერდა: „საქართველოს მთელ ახალგაზრდობასთან ერთად გულმხურვალედ გექომაგებით. ყურადღებით ვადევნებთ თვალს მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლის მსვლელობას. დარწმუნებული ვართ წარმატებაში. რიგიდან ველით გამარჯვების ამბავს. ვემზადებით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის შესახვედრად“.

დიდი სიხარული მოუტანა ნონას მხცოვანი საბჭოთა მეცნიერების, აკადემიკოსების სტრუმილინისა და მსტისლავსკის დეპეშამ, რომელშიც ლექსადაა ნათქვამი: „ცეცხლოვან თამაშს გისურვებთ, პრეტენდენტის დამარცხებას, ლაზიერით, პაიკით და მხედრით მსოფლიოს გვირგვინის შენარჩუნებას“.

„პატივცემულო ნონა ტერენტის ასულო! ღრმად ვარ დარწმუნებული თქვენს გამარჯვებაში, ისე როგორც ჩემი ეტლის ძალაში. ბორის გრიაზნოვი (ტალახაძე). მოსკოვი, 21 სექტემბერი“. ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა ნონას მისმა მოსკოველმა თაყვანისმცემელმა. ბიკოვასთან მატჩის დროს მოხუცმა რუსმა არქიტექტორმა, რომელსაც, სხვათა შორის, ზუგდიდშიც აუგია სახლები, ნონას „თილისმად“ ეტლი უბოძა. და მაშინ ნონამ გაიმარჯვა. სწორედ ამ ეტლს მოაგონებს ახლა ჩემპიონს მისი მოხუცი გულშემატკივარი.

მატჩის დაწყების შემდეგ კორესპონდენციებმა იმატა. წერილები და დეპეშები მოდის ესტონეთიდან, უკრაინიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან. ძალიან ბევრია წერილი და დეპეშა საქართველოდან. წერენ ქართველი მეომრები, რომლებიც სიამაყით ეხმაურებიან ნონას წინსვლას; წერენ რუსთაველი მეტალურგები ნ. კევლიშვილი, ი. კომითიძე, ბ. საყვარელიძე და ვ. ქამაკაშვილი, რომლებიც თავიანთი კოლეგების სახელით ნონას ისეთ მტკიცე გამარჯვებას სთხოვენ, როგორ ლითონსაც adნობენ რუსთავში.

ყველა აღელვა წერილმა შორეული აფრიკიდან. ნონას ტკბილი ქართულით ესალმება ქართველი ექიმი თ. ფერაძე, რომელიც ამჟამად ნიგერიაში მუშაობს. სხვათა შორის, თ. ფერაძე ნონას ინგლისში ჰასტინგსის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის დროს მასპინძლობდა და გულშემატკივრობდა.

ქაღალდზე გადატანილი ეს სურვილები და გრძნობები მხნეობასა და ძალას ჰმატებს მოჭადრაკეთ, „ნაიარებს“ უშუშებს და საბრძოლველად განაწყობს. წინ ხომ ჯერ კიდევ მძიმე და დამქანცველი პაექრობაა.

თ. ნინოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
რიგა.

• • •

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი სიამოვნებით ეცნობა თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების გულთბილ და გამამხნევებელ კორესპონდენციებს.

დეპეშა თუ წერილი კი მართლაც ძალიან ბევრია. ჩემპიონის ფოსტის ლეიტმოტივი ერთია: ღრმად ვართ დარწმუნებული შენს გამარჯვებაში, გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს...

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

30 ათასი კილომეტრი...

მძლავრი და ლამაზი

[illegible]

შვებულება... ხომალდზე

მაგნიტოგორსკელი მუშებისა და ინჟინერ-მეტალურგთა ჯგუფი ლ. ბელევსკის მეთაურობით შვებულების დღეებში ხომალდ „ტაგანაით“ ციმბირის უდიდეს მდინარე ლენას აუყვა 2.500 კილომეტრზე უსტ-კუტიდან ჟიგანსკამდე. „ტაგანაი“ თვით მაგნიტოგორსკელმა აფროსნებმა ააგეს. მოგზაურობა ძნელი იყო, მაგრამ უჩვეულოდ წარმტაცი. სპორტსმენები ტაიგის მკაცრი სილამაზისა და ციმბირელების სტუმართმოყვარეობისაგან მოგვრილი წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ.

მოგზაურები დაბრუნდნენ, მაგრამ „ტაგანაი“? ხომალდი საზამთროდ ციმბირში დარჩა. მაგნიტოგორსკელთა გადაწყვეტილებით, მომავალი ზაფხულის დაწყებიდანვე ჯგუფი ლაშქრობას ტიკსის ყურემდე განაგრძობს.

იალქნიანი ხომალდებით ლაშქრობა მაგნიტოგორსკელი მეტალურგების დიდი ხნის გატაცებაა. ბელევსკის ჯგუფის გარდა ვოლგაზე, კამაზე, დონზე, კასპიის ზღვაზე და მდინარე ურალზე კიდევ ექვსი ჯგუფი მოგზაურობდა. მაგნიტოგორსკში აგებულმა იახტებმა და ხომალდებმა თითქმის 30 ათასი კილომეტრი გადასერეს.

მაგნიტოგორსკი.

გზატკეცილზეა ახალი „იჟ“

გზატკეცილებზე გამოჩნდა იჟევსკის ქარხნის „65-მ“ მარკის ახალი მოტოციკლები. მანქანის წონა გასულ წელს გამოშვებულ „იჟებთან“ შედარებით 4 კგ-ითაა შემცირებული ძრავის სიმძლავრე კი გაზრდილია. გარეგნულადაც მოტოციკლი უფრო ლამაზი გახდა.

ახალი კონსტრუქციის მანქანებით მიიღეს მონაწილეობა სექტემბრის ბოლოს ინგლისში გამართულ მრავალდღიან საერთაშორისო მოტოშეჯიბრებაში საბჭოთა მრბოლელებმა, რომელთა შორის იყვნენ იჟევსკელებიც — გ. ჩაშჩიპოვი და ვ. ფალალეევი.

იჟევსკი.

კალათბურთელთა თასზე

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს ჩაატაროს ტურნირი საკონტინენტთაშორისო თასზე. თავდაპირველად ამ შეჯიბრებაში 4 გუნდია დაშვებული: ორი ევროპიდან — მადრიდის „რეალი“, ცსკა (სსრ კავშირი) და თითო—ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან (ამ კონტინენტების ჩემპიონები). პირველ ტურში ევროპის გუნდები შეხვდებიან ამერიკის გუნდებს, მეორე ტურში გათამაშდება ფინალი.

კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ ამ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ცსკა-ს ყოველ სეზონში გადატვირთული კალენდარი აქვს (იგი 5 თვეში დაახლოებით 40 ოფიციალურ მატჩს ატარებს).

[illegible]

7 ოლიმპიადაში

სპორტის ისტორიას ახსოვს რეკორდები, რომლებიც შესანიშნავი იყო არა მარტო იმ დროისათვის, არამედ ახლაც იწვევს საერთო აღტაცებას.

ერთ ასეთ რეკორდს ფლობს დანიელი მძლეოსანი ოსტერი. მან ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1908 წელს მიიღო მონაწილეობა ლონდონში, ხოლო უკანასკნელად კვლავ ლონდონში გამოვიდა 40 წლის შემდეგ, XIV ოლიმპიურ თამაშებზე. ამ ხნის განმავლობაში იგი შვიდჯერ მონაწილეობდა ოლიმპიადებში და საუკეთესო შედეგს 1932 წელს ლოს-ანჟელოსის X თამაშებში მიაღწია — ვერცხლის მედალი მოიპოვა. 1924 წლის პარიზის VIII და 1928 წლის ამსტერდამის IX ოლიმპიადებში ოსტერმა VI საპრიზო ადგილები დაისაკუთრა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი 25-ჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი.

პარიზში, „კოლომბის“ სტადიონზე ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირისა და საფრანგეთის მძლეოსან ვაჟთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. როგორც ცნობილია, იგი მოიგეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა — 120:92. პროგრამის 20 სახეობიდან სტუმრებმა გაიმარჯვეს 13-ში, მასპინძლებმა კი მხოლოდ შვიდში. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ი. ტერ-ოვანესიანი, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 807 სმ და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

• • •

სურათზე: ი. ტერ-ოვანესიანი ხტომის დროს.

ფოტო აპ-საკდესისა.

ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი..., დასავლეთი,

▲ **პლზენი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გ. რეულანტსმა იერიში მიიტანა 3.000 მ წინაღობებით რბენაში მსოფლიო რეკორდზე (8.26,3). იგი ახლოს იყო მიზანთან: 1 კმ 2.42-ში გაირბინა, 2 კმ — 5.30-ში, მაგრამ ტემპს ველარ გაუძლო და საბოლოოდ აჩვენა მხოლოდ 8.33,0.

▲ **პეკინი.** ადგილობრივმა მძლეოსანმა ქალებმა გააუმჯობესეს ჩინეთის ორი რეკორდი: ხო ცუ-ფენმა 200 მ რბენაში აჩვენა 24,3, ხოლო ხუ კვო-ჩენმა 800 მ — 2.06,6.

▲ **ლოს-ანჟელოსი.** პორტორიკოელმა პასარელამ ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრების ფინალში დაამარცხა „მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი“, ავსტრალიელი ემერსონი — 6:0, 6:4. სამაგიეროდ, ემერსონმა შოლესთან ერთად აიღო რევანში წყვილთა შეხვედრაში. მათ სძლიეს პასარელასა და ფროლინგს — 11:9, 6:0.

▲ **ლაიპციგი.** ქალაქის დაარსების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ ლაიპციგის, პლოვდივის, ჰალეს, მინსკის, ბრნოსა და პოზნანის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები. პირველ შეხვედრაში მინსკელებმა მოუგეს ჰალეს გუნდს — 61:41.

ფეხბურთის მინდორზე 14 წლის... გოგონა

Საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამას წინათ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე ფეხბურთში. შვეიცარიის „სიონმა“ პირველ შეხვედრაში დაამარცხა თურქეთის „გალათასარაი“ — 5:1 მეორე მატჩს შვეიცარიელები მეტოქის მინდორზე, სტამბოლში ატარებდნენ. სტუმრებს თავი ქუდში ჰქონდათ, ვინაიდან მარჯაფში 4 ბურთის უპირატესობა მათ კარგ პერსპექტივებს უქმნიდა გათამაშების შემდეგ წრეში გასასვლელად. და მართლაც, თუმცა თურქებმა გაიმარჯვეს ამ მატჩში ანგარიშით 2:1, ისინი შეჯიბრებას მაინც გამოეთიშნენ, რადგან ბურთების უარესი შეფარდება ჰქონდათ — 3:6.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და შვეიცარიელები შემდეგ წრეში იყვნენ გასული, რომ უეცრად თითქოს ყუმბარა გასკდაო, თურქებმა პროტესტი დაწერეს. მთავარი მოტივი, რომელიც მათ პროტესტს დაუდეს საფუძვლად ის გახლდათ, რომ შვეიცარიელთა გუნდში თამაშობდა... ქალი, უფრო ზუსტად, გოგონა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ თითქოსდა უსუსურ არგუმენტს შვეიცარიელები საპნის ბუშტივით გაფანტავდნენ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ისინი დუმდნენ.

საქმის ვითარების გამორკვევამ დაადგინა, რომ მასპინძელთა რიგებში მართლაც თამაშობდა 14 წლის გოგონა — მადლენ დესბიო. იგი ბიჭურად იყო შეკრეჭილი და არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენ ფეხბურთელთაგან. ამასთან, მატჩში მან ისეთი ენერგია და მონდომება გამოამჟღავნა, რომ მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია. მადლენი ყველგან ასწრებდა — დაცვაშიც იყო, თავდასხმაშიც, და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა მეტოქის კართან.

თამაშის დამთავრების შემდეგ შვეიცარიელები ფაქტის წინაშე დადგნენ და ახლა გადაწყვეტილი აქვთ თხოვონ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მ. დესბიოს დაშვება, მით უმეტეს, რომ ისინი განაგრძობენ თასისთვის ბრძოლას.

ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს საქმე.

„სიტყვის თავისუფლება“

ინგლისში უყვართ თქმა იმისა, რომ მათს ქვეყანაში არსებობს „სიტყვის თავისუფლება“ და რომ ეს შეეხება ყველა სფეროს. მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას ამის თაობაზე თავისი აზრი აქვს.

ცნობილი კლუბის „ფულჰემის“ გამგეობის თავმჯდომარემ ჯ. ტრინდერმა ამას წინათ მოთმინება დაკარგა ერთ-ერთ მატჩში მსაჯის საქციელით. მან მსაჯს „დიქტატორი და თამაშის ჩამკვლელი“ უწოდა. ტრინდერმა ამ სიტყვების წარმოთქმისას, ეტყობა, კარგად არ გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგი: ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის კონგრესმა მას საყვედური განუცხადა და დააჯარიმა 50 გირვანქა სტერლინგით.

ტრინდერი ამ გადაწყვეტილებას ისე შეხვდა, როგორც ფედერაციის დისციპლინირებული წევრი და ჯარიმაც გადაიხადა, მაგრამ მაინც განაცხადა:

— განა მე არ შემიძლია ვთქვა, რასაც ვფიქრობ, მით უმეტეს, რომ მრავალი თანამოაზრეც გამომიჩნდა? თამაშის შემდეგ ფეხბურთის 2.000-მა ცნობილმა თუ ნაკლებად ცნობილმა გულშემატკივარმა გამომიგზავნა წერილები, რომლებშიც ისინი სავსებით მეთანხმებიან. როგორ უნდა დავუკავშიროთ ფეხბურთის ფედერაციის მოქმედებას განცხადება, რომ ინგლისი თავისუფალი მიწაა და ყველას აქვს თავისუფლად სიტყვის თქმის უფლება? როგორც ჩანს, ფეხბურთის კლუბების თავმჯდომარეებს ეს არ ეხებათ.

ქორწინება...

წვრთნის დროს

პორტუგალიის ჩემპიონის, ლისაბონის „ბენფიკას“ საუკეთესო ფორვარდი, 23 წლის მოზამბიკელი ზანგი ფეხბურთელი ხ. ეუსებიო დაქორწინდა... ვარჯიშის დროს. ოთხშაბათს, სანამ ეუსებიო წვრთნას გადიოდა, ლისაბონიდან 8.000 კილომეტრის დაშორებით, მოზამბიკაში მოხდა მისი სამოქალაქო ქორწინება 22 წლის მოზამბიკელ ფიზკულტურის მასწავლებელ ჯ. ბრიუემთან. ქალაქის მერიაში ეუსებიოს მაგივრობა მისმა მეგობარმა გასწია.

ეუსებიოს მეუღლე გამოემგზავრა ლისაბონს, სადაც მოხდება ქორწინება ყველა სარწმუნოებრივი წესის დაცვით.

(საქ. ინფ.).

აურზაური კომბენის გამო

საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს ა. გერენს ოსლოში ნორვეგიელებთან გამარჯვების შემდეგ შეექმნა „ლონდონის საგზურის“ მოპოვების სასიამოვნო პერსპექტივა. საამისოდ ფრანგებმა უნდა მოიგონ მატჩი საკუთარ მინდორზე იუგოსლავიელებთან 9 ოქტომბერს.

მაგრამ პარიზის მატჩამდე საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ რამდენიმე თავსატეხი პრობლემა უნდა გადაჭრას. მათ შორის უმთავრესია ცენტრალური თავდამსხმელის ნ. კომბენის საკითხი. ეს ფორვარდი შარშან „ლიონიდან“ იტალიის „იუვენტუსში“ გადავიდა, ამასთან, იტალიელებმა იკისრეს მისი განთავისუფლება საფრანგეთის ნაკრებში სათამაშოდ. შემდეგ კომბენი თავის მეგობარ სივორისთან ერთად წაეჩხუბა „იუვენტუსის“ მწვრთნელს და „ვარეზეში“ გადავიდა. ამ გუნდის მწვრთნელი კიაპელა კი არ აპირებს კომბენის განთავისუფლებას. აი, რას ამბობს იგი:

— მე კომბენი უკვე გავუშვი ნორვეგიელებთან სათამაშოდ, სადაც მან გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ახლა ჩვენ თვით გვაქვს სერიოზული მატჩები იტალიის ჩემპიონატში და გაგონებაც არ გვსურს პარიზში მის გამგზავრებაზე.

„ვარეზეს“ ეს გადაწყვეტილება მძიმე მდგომარეობაში აყენებს საფრანგეთის ნაკრებს, რომლის თავდასხმის ტაქტიკა მთლიანად კომბენის სნაიპერულ თვისებებზე და გარღვევებზეა აგებული. ამიტომ გერენმა ფიფა-საც კი მიმართა თხოვნით.

აი, რა პასუხი მიიღო ამ დღეებში გერენმა „ვარეზესაგან“:

— ფრანგებს „იუვენტუსთან“ ჰქონდათ შეთანხმება კომბენის განთავისუფლების თაობაზე. რაც შეეხება „ვარეზეს“, მას არავითარი პირობა არ მიუცია. ასე რომ, კომბენი პარიზში ვერ გაემგზავრება.

ფრანგი მიმომხილველები მკაცრად აკრიტიკებენ „იტალიელ ვაჭრებს“, თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობა მაინც იმედოვნებს, რომ უკანასკნელ მომენტში შეძლებს ფორვარდის პარიზში ჩამოყვანას. უამისოდ კი მასპინძლებს იუგოსლავიელებთან მოგების იმედი არა აქვთ.

ფიფა დათმობაზე მიდის

Ფეხბურთის საერთაშორისო ოფიციალურ მატჩებში, როგორც ცნობილია, აკრძალულია მოთამაშის შეცვლა. რაც უნდა მოხდეს, ტრავმა და უბედური შემთხვევაც კი, თუ გუნდს გამოაკლდა ფეხბურთელი, იგი ნაკლული შემადგენლობით ამთავრებს თამაშს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ადრე რამდენიმეჯერ იყო დავა ამ წესის შეცვლის თაობაზე, მაგრამ ამაოდ.

სულ ახლახან კვლავ წამოიჭრა საკითხი, რათა ნებადართულ იქნას ერთი მოთამაშის შეცვლა. ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი წევრების დიდი უმრავლესობა მომხრეა არსებულ წესებში მოხდეს სათანადო ცვლილება ე. წ. „მე-12 მოქმედი მოთამაშის“ შესახებ, ამიტომ მოსალოდნელია სათადარიგო ფეხბურთელმა მოიპოვოს არსებობის უფლება.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ა. ბ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია იუწყებიან უხუცესი მთამსვლელის

ადსილ ავალიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უ0 12226